პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 26 აგვისტო, 1944 წ. № 173 (7126). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ მასლენიკოვს

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობენ, დღეს, 25 აგვისტოს, იერიშით დაიკავეს ქალაქი და კომუნიკაციების დიდი კვანძი ტარტუ (იურიევი-დერპატი) — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს ესტონეთის ცენტრალური რაიონებისაკენ მიმავალ გზებს.

ქალაქ ტარტუს დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ რომანოვსკის, გენერალ-ლეიტენანტ ზახვატაევის, გენერალ-მაიორ აბაკუმოვის, გენერალ-მაიორ მარტინჩუკის, გენერალ-მაიორ ფეტისოვის, გენერალ-მაიორ სტეპანენკოს, გენერალ-მაიორ კოლჩანოვის, პოლკოვნიკ შირიაევის, გენერალ-მაიორ პოტაპოვის, გენერალ-მაიორ კარაპეტიანის, პოლკოვნიკ დემიდოვის, პოლკოვნიკ ნიკოლორუკოვის, პოლკოვნიკ დოლგოვის, პოლკოვნიკ ფომიჩევის, გენერალ-მაიორ ბურაკოვსკის, გენერალ-მაიორ ბორისოვის, პოლკოვნიკ ბესპერსტოვის ჯარებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ კრასნოვეცევის, პოლკოვნიკ ლეონოვის, პოლკოვნიკ ფასტრიცკის, პოლკოვნიკ შატილოვის, პოლკოვნიკ ვოლკოვის, პოლკოვნიკ დიდენკოს, პოლკოვნიკ ჩერნევის, პოდპოლკოვნიკ ვორონკოვის, პოლკოვნიკ კაზორნის არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ კოლოსოვის, პოლკოვნიკ ივანოვიჩის, პოდპოლკოვნიკ მოროზოვის, პოდპოლკოვნიკ სოკოლოვის, მაიორ სალკოვის, მაიორ გორბუნოვის ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ჟურავლიოვის, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ფილინის, პოდპოლკოვნიკ პოდგორნილნის, პოდპოლკოვნიკ დოდონოვის, პოდპოლკოვნიკ პოლუშკოს, პოლკოვნიკ ანდრეევის, პოლკოვნიკ კულიშის, მაიორ იაკოვლევის, პოდპოლკოვნიკ ზლოჩევის მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ კირჩევსკის, საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ ჩეკუროვის, პოლკოვნიკ მარჩაკის, პოდპოლკოვნიკ სოგოლევის, პოდპოლკოვნიკ სკოროდუმოვის, პოდპოლკოვნიკ ანგლიჩანოვის, მაიორ კორჩაგინის მეხანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ სინელნიკოვის, პოდპოლკოვნიკ კორპლიაკოვის, მაიორ პორტერის, პოდპოლკოვნიკ დრობკინის, სახელმწიფო უშიშროების მაიორ კოსობოკოვის, პოლკოვნიკ სევიონოვის მეკავშირეებმა.

მოცხოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ ტარტუს დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „ტარტუს“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 25 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო سალვით سალუტს აძლევს ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ტარტუ.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის მადლობას ვუცხადებ თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ტარტუს განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ბიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 25 აგვისტო.

მივცეთ სამშობლოს მეტი თამბაქო

1 ოქტომბრამდე ჩვენს რესპუბლიკაში უნდა დამზადდეს 2.000 ტონა თამბაქო. მარშანდელთან შედარებით თამბაქოს საადრიო დამზადება უკეთესად მიმდინარეობს. მოწინავეთა რიგებში არიან ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონები. მაგრამ საჭიროა დამზადების ტემპები გააძლიერონ ბორჩალოსა და ბოლნისის რაიონებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებმა.

მთავარია უდანაკარგოდ ავიღოთ თამბაქოს მთელი მოსავალი, მთლიანად და გადამეტებით შევასრულოთ თამბაქოს ძირითადი დამზადების სახელმწიფო გეგმა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „1944 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ“ მოცემულია თამბაქოს დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებანი. დადგენილებაში ნათქვამია, რომ თამბაქოს აღება უნდა მოხდეს მისი სრული ტექნიკური სიმწიფის მდგომარეობაში, დაშვებულ არ ექნას გადამწიფება, აგრეთვე დაუმწიფებელი ფოთლების მოკრეფა.

განა ყველგან იცავენ ამ სავალდებულო მოთხოვნილებას? არა, არ იცავენ, ბორჩალოს რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ვხვდებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა რიგ-რიგობით წარმოებას, მუშახელი სათანადოდ არ არის გამოყენებული თამბაქოს მოსავლის აღებასა და აცმაზე. აქ თავის დროზე არ იზრუნეს ზონრების საკმაო რაოდენობის შეძენისათვის. ამის გამო ადგილი აქვს თამბაქოს გადამწიფებას, დანაკარგებს. მსგავსი მდგომარეობაა ბოლნისის რაიონის კალინინის, „პრავდის“, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში. თამბაქოს გადამწიფების შესახებ იტყობინებიან ყვარლის, სიღნაღის რაიონებიდან და აჭარიდან. ოჩამჩირის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობასა და კოლმეურნეობა „წითელ არაგიში“ ცუდად არის მოწყობილი დანაკარგებთან ბრძოლა. თამბაქოს თავის დროზე აღებას ყურადღება არ ექცევა. ამგვარი მდგომარეობის მოთმენა შეუძლებელია. საჭიროა მთელი მუშაობა ისე წარვმართოთ, რომ მოვსპოთ დანაკარგები, თამბაქოს აღება დავამთავროთ მთავრობისა და პარტიის მიერ დაწესებულ ვადაში — არა უგვიანეს 10 ოქტომბრისა.

არის ფაქტები, რომ „საქსოფლმომარაგების“ განყოფილებების მუშაკები ზოგიერთ რაიონში საკმაო ოპერატიულობას და მოქნილობას ვერ იჩენენ კოლმეურნეობებისათვის ზონრის დამატებით მისაწოდებლად. უპასუხისმგებლობის შედეგია ის, რომ თუმცა „საქსოფლმომარაგების“ თბილისის საწყობში ზონარი მნიშვნელოვანი რაოდენობით მოიპოვება, დღემდე ვერ მოუხერხებიათ მისი გადაზიდვა მეთამბაქოობის რაიონებში. საჭიროა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხის მოწესრიგებას. კოლმეურნეობებმა, საკოლმეურნეო ბრიგადებმა და რგოლებმა მომჭირნეობით უნდა ხარჯონ ზონარი. **ფარდულებში გაშრობისთანავე თამბაქო დამამზადებელ პუნქტებს უნდა ჩაბარდეს,** ხოლო განთავისუფლებული ზონარი განმეორებით იქნას გამოყენებული ნედლი თამბაქოს ასაცმელად.

ხარისხიანი თამბაქოს მიღების მნიშვნელოვანი პირობაა თამბაქოს წესიერი გაშრობა ფარდულებში. ზოგან ამას არ ითვალისწინებენ. ბოლნისის რაიონის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფარდულში წვიმა ჩამოდის და თამბაქო ზიანდება. ამ რაიონის კალინინის, ედანოვის, „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობათა ფარდულებში თამბაქოს ფოთლები მიწაზე ყრია და ფეხქვეშ ითელება, ფოთლები ზონარზე წესიერად არ არის განლაგებული და ეს ხელს უშლის თამბაქოს თავის დროზე გახმობას.

თამბაქოს უდანაკარგოდ აღებისა და ხარისხის ამაღლების უპირველეს პირობას შრომის სწორი ორგანიზაცია და ანაზღაურება წარმოადგენს. მოწინავე კოლმეურნეობათა მდიდარი გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ინდივიდუალური სანარდო მუშაობის სისტემა შრომის ნაყოფიერების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მეთამბაქოობის კოლმეურნეობებმა **შეტეხის, აცმისა და გაშრობის სამუშაოებში ფართოდ უნდა დანერგონ ინდივიდუალური სანარდო სისტემა,** ზუსტად აღრიცხონ თვითეული კოლმეურნის მიერ გამომუშავებული შრომადღეები, განუხრელად გაატარონ კანონი კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

ომიანობის ვითარებაში თამბაქოს მრეწველობის ნედლეულის გადიდებაზე ზრუნვა კოლმეურნეთა, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ღირსების საქმეა. ამისათვის საჭიროა მოვაწყოთ ნამხრევების შეგროვება, გახმობა, და მეორე მოსავლის—ფილიჩების აღება ძირითადი მოსავლის აღების დამთავრების შემდეგ.

დავრაზმოთ მთელი ძალები თამბაქოს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და ჩაბარების სახელმწიფო გეგმის მთლიანად, გადაჭარბებით შესრულებისათვის. მივცეთ სამშობლოსა და ფრონტს მეტი მაღალხარისხოვანი თამბაქო!

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
25 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევას განაგრძობენ 25 აგვისტოს იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი—ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი ტარტუ (იურიევი-დერპატი), აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი ელვა, დიდი დასახლებული პუნქტები მიიზაკიული, კიარევერე, ილმატსალუ, რიდაკიული, პუხია, უსკიული, კონგუტა, ტედლა და რკინიგზის სადგურები ელვა, უდერნა.

ქალაქ ლომეის სამხრეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. მათ შორის რატოვო, ნადზორი, გნიაზდოვო, ლიუბოტინი, გროძიკი, უგნევო, სტარეკაჩოვო, სუმენნე.

პრაგის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშები და კონტრიერიშებიან შედეგად პოზიციები გაიუმჯობესეს.

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომელნიც წარმატებითს შეტევას ავითარებენ, დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტეკუჩი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 350-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები სერბეშჩტი, გუდეშტაკიკა, ნანეშტი, ოკრიშეშტი, სტოიეშეშტი, დიდეშტი, ხარდეჯიი, გელტიანული, სარატენი, ბუჟორი, ბოგზიჩანი, ძლადინეშტი და რკინიგზის სადგურები როშეშტი, განკა. ფრონტის ჯარები, რომელნიც უტეკენ მდინარე პრუტის აღმოსავლეთი ნაპირის გასწვრივ, შეუერთდნენ უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებს ლოკუშნის, ლეუშენის რაიონში.

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარები, რომელნიც წარმატებითს შეტევას ავითარებენ, მდინარე პრუტს მიადგნენ ლეუშენის, კაგულის უბანზე, ამასთან დაიკავეს ქალაქები ლეოვო, კაგული, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 200-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის მოლდავეთის სს რესპუბლიკის რაიონული ცენტრი ქალაქი კოტოვსკოე (ბანეშეშტი), იზმაილის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი კილია, ნოვაია ივანოვკა, ტატარბუნარი, დიდი დასახლებული პუნქტები ტომაი, გოტეშტი, ზერნეშტი, ბასან ბატირი და რკინიგზის სადგურები პრუტი, ჩადირ ლუნგა. ფრონტის ჯარები შეუერთდნენ უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებს ლოკუშნის, ლეუშენის რაიონში.

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები წარმატებითი შეტევის მსვლელობაში კიშინიოვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში გარს შემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებას, რომელშიც შედის გერმანელთა 12 დივიზია. გარშემორტყმულია გერმანელთა 79-ე, 106-ე, 257-ე, 258-ე, 282-ე, 294-ე, 302-ე, 320-ე, 335-ე, 370-ე, 376-ე და 384-ე ქვეითი დივიზიები. მოწინააღმდეგის ყველა ცდა—ორი დღის განმავლობაში გასულიყო გარშემორტყმიდან სამხრეთის მიმართულებით—წარმატებით ჩაშალეს ჩვენმა ჯარებმა. ორი დღის ბრძოლების განმავლობაში ამ რაიონში ტყვედ დაგვნებდა მოწინააღმდეგის 18 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. გრძელდება ბრძოლები მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსასპობად.

ფრონტის სხვა უბნებზე მზვერავები მოქმედებდნენ და მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

24 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 101 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 72 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა სარკინიგზო კვანძები პოგეგენი და გალაცი

24 აგვისტოს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი სამხედრო ეშელონები პოგეგენის (10 კილომეტრზე ტილზიტის ჩრდილოეთით აღმოსავლეთ პრუსიაში) და გალაცის (რუმინეთი) სარკინიგზო კვანძებზე.

დაბომბვის შედეგად პოგეგენის სარკინიგზო კვანძზე დიდი ხანძრები გაჩნდა. რკინიგზის კვანძის ცენტრალურ ნაწილში აფეთქებული ორი ეშელონი საომარ მასალიანად, დიდი ხანძრები, რომელთაც ახლდათ აფეთქებანი, აღნიშნულია აგრეთვე რკინიგზის კვანძის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში.

გალაცის სარკინიგზო კვანძზე დაბომბვით შექმნილია ხანძრის რამდენიმე კერა. იწვოდა ვაგონები და პლატფორმები სამხედრო ტვირთიანად. ხანძრების დროს 5 აფეთქება მოხდა.

* *

ბალტიისპირეთის მე-3 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობენენ. საბჭოთა ნაწილებმა გასტეხეს მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებული თავდაცვა ტარტუს მისადგომებზე და შეიჭრნენ ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ გარეუბანში. ძმასობაში ჩვენმა სხვა შენაერთებმა შემოვლითი მანევრი მოაწყეს ძნელადსავლელი ჭაობებითა და ტყეებით. საბჭოთა მებრძოლებმა გადაკეტეს ტარტუდან დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთისაკენ მიმავალი გზატკეცილები, გზიდანვე გადალახეს მდინარე ემა-იოგი და დაიკავეს გზების კვანძი კიარევერე, 15 კილომეტრზე ტარტუს ჩრდილო-დასავლეთით. დღეს ჩვენმა ჯარებმა ნაშუადღევს ქუჩებში გაფთრებული ბრძოლების შემდეგ განადგურეს მოწინააღმდეგი და დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი ტარტუ. გერმანელებს მძიმე ზარალი მოუყენეთ. მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა ერთი დღის განმავლობაში მოსპო მოწინააღმდეგის 1,000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელშიც არის 60 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი.

* * *

ტარტუს სამხრეთ-დასავლეთით გაფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ ელვის რაიონში. გერმანელებმა ბრძოლაში ჩააბეს სს-ელთა სატანკო ბრიგადა „გროსი“. საბჭოთა ნაწილებმა გაბედული დარტყმებით უკუაგეიეს სს-ელები და დაიკავეს ქალაქი ელვა. მოსპობილია მოწინააღმდეგის 20 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი.

* * *

ქალაქ ლომეის სამხრეთით მტერმა თავი მოუყარა რეზერვებს და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევს. 6 შენაერთის ნაწილებმა გაფთრებული ბრძოლების შედეგად განდევნეს გერმანელები თავდაცვითი ზღუდეებიდან, რომელიც სანგრების ხუთი ხაზისაგან შესდგებოდა. საბჭოთა მებრძოლებმა, რომელნიც წინ მიიწევენ, დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, მათ შორის სოფელი უანეკეო, რომელიც ორ კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ოსტრუვ მაზოვეცკის აღმოსავლეთით. მოსპობილია ერთ ბატალიონზე მეტი მტრის ქვეითი ჯარი, დაზიანებულია 12 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ საინჟინრო საწყობები და სხვა დაგლა.

* * *

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარები წარმატებითს შეტევას ავითარებდნენ. ჩვენმა ნაწილებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს დასახლებული პუნქტი სერბეშჩტი, რომელიც 12 კილომეტრზე მდებარეობს რუმინეთის ქალაქ პიატრიდან. ამ რაიონში გაფანდურებულია მტრის ორი დივიზიის ნაწილები. ხელთ ვიგდეთ ბევრი ტყვე. საბჭოთა მოძრავმა შენაერთებმა და ქვეითმა ჯარმა, რომელნიც საბრძოლო მიმართულებით უტევენ, წინ წაიწიეს 40 კილომეტრით და დაიკავეს რუმინეთის ქალაქი ტეკუჩი. ჩვენი ნაწილები უკანდასახევ გზას უჭრიან მოწინააღმდეგის ჯარებს, სპობენ მათ ან ტყვედ მოჰყავთ. ერთ უბანზე იარაღი დაჰყარა რუმინელთა ქვეითი ჯგრის ორმა პოლკმა. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა უკანდასახევი გზები გადაუღობეს რუმინელთა პირველ სატანკო დივიზია „დიდი რუმინეთის“ ნაშთებს. ხელთ ვიგდეთ 40 საესებით ვარგისი ტანკი. გაფთრებული ბრძოლები სწარმოებდა ქალაქ ხუშის სამხრეთით. მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა რამდენიმე გაფთრებული იერიში მოიტანეს და ცდილობდნენ არ მიეშვათ ჩვენი ჯარები მდინარე პრუტზე. საბჭოთა ნაწილებმა მძლავრი კონტრდარტყმებით გაანადგურეს მტერი და სპობენ მის დაქსაქულ ჯგუფებს. ჩვენი ჯარების მიერ წამოყენილი ტყვეების რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს.

* * *

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარები, რომელნიც სწრაფ შეტევას ავითარებენ, გარშემორტყნენ ქალაქ კიშინიოვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში მოქმედი გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდ დაჯგუფებას. მოწინააღმდეგე სასოწარკვეთილად ცდილობს თავი დაიღწიოს „ქვაბს“. ერთ უბანზე გერმანიის 5 დივიზიას ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით სურდა გაჭრილიყო მდინარე პრუტის გადასასვლელებისაკენ. უნაყოფო იერიშების, დროს მოწინააღმდეგეს უდიდესი ზარალი მოუვიდა, მაგრამ წინ ვერ წაწია ვერც ერთი ნაბიჯით. სხვა უბანზე 6 შინაერთის ნაწილებმა ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე ათასი ჰიტლერელი. მარჯვი შემოვლითი მანევრების შედეგად ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის გარშემორტყმულ შინაერთებს აქცევენ და სპობენ. ბრძოლების ადგილები მოფენილია ჰიტლერელთა გვამებით, მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებული ტექნიკითა და საჭურვლით.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ბალტიის ზღვაში ჩასძირა გერმანელთა ორი ტრანსპორტი.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა კონსტანცის რაიონში ჩასძირეს მტრის 3,000 ტონა წყალწყვის ტრანსპორტი. გარდა ამისა, ფლოტის ავიაციამ ჩასძირა მოწინააღმდეგის ორი მონიტორი.

უკანასკნელი ცნობები
რუმინეთის ამბები

ლონდონი, 25 აგვისტო (საკუთარი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს კაიროს რადიოს ცნობას, რომელის თანახმად რუმინეთის ახალმა მთავრობამ ბუქარესტის რადიოთი მოუწოდა რუმინელ ხალხს დაიწყოს ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ. რუმინეთმა, ნათქვამია ცნობაში, ომი გამოუცხადა გერმანიას. გერმანიის ავიაციამ დაბომბა ბუქარესტი.

ლონდონი, 25 აგვისტო (საკუთარი). ლონდონის რადიო-იმოწმებს ანკარიდან მიღებულ ცნობებს და გადმოგვცემს, **რომ** რუმინეთის ახალი სამხედრო სარდლობე, ბრძანებით რუმინეთის ჯარებმა დაიწყეს ტრანსილვანიაში შეჭრა. ტრანსილვანიაში შეტაკება მოხდა უნგრეთის ჯარებსა და რუმინელ სამოქალაქო მოსახლეობას შორის.

იმავე ცნობებით, კონსტანცაში შეტაკება მოხდა რუმინელთა და გერმანელთა ჯარებს შორის.

ბუქარესტის რადიო ბუქარესტიდან გერმანელთა განდევნის შესახებ

ლონდონი, 25 აგვისტო (საკუთარი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბუქარესტის რადიომ დღეს საღამოს გადასცა ცნობა, **რომ** რუმინეთის დედაქალაქი ამჟამად მთლიანად განთავისუფლებულია გერმანელთაგან. მძიმე ბრძოლების შემდეგ ბუქარესტის აეროდრომი რუმინელთა ხელში **გადავიდა.**

რუმინეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ჟენევა, 24 აგვისტო (საკუთარი). როგორც ბუქარესტის რადიო იუწყება, რუმინეთის ახალი მთავრობის შემადგენლობაში, რომელიც გენერალმა სანატესკუმ ჩამოაყალიბა, უპორტფელო მინისტრებად შევიდნენ კონსტანტინ ბრატიანუ — ლიბერალური პარტიის ლიდერი; იულიუს ჰანიუ—ნაციონალ-ცარანისტთა (გლეხთა) პარტიის ლიდერი; კონსტანტინე პეტრესკუ და ლუკრეცი პატრაშკანუ.

გერმანელები და მათი ვიშელი დაქიები თავს აუარებენ ესპანეთს

ლონდონი, 25 აგვისტო (საკუთარი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი მადრიდიდან გადმოგვცემს, ამ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ესპანეთის საზღვარზე გადავიდა გერმანელი სამხედრო პირები, გესტაპოელების და ჰიტლერის ვიშელი დამქაშების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

გერმანიის ექვსმა გემმა თავშესაფარი ჰპოვა პასაჟისში სან-სებასტიანის ახლოს.

მოწინააღმდეგის ზარალი და უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ნადავლი 20-დან 25 აგვისტომდე წარმოებული შეტევითი ბრძოლების განმავლობაში

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, 20-დან 25 აგვისტომდე წარმოებული შეტევის მსვლელობაში, შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 99 თვითმფრინავი, 104 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 426 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 480 ნაღმსატყორცნი, 807 ტყვიამფრქვევი, 1.050 ავტომანქანა. მოწინააღმდეგემ 40.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის** მე-2 ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 54 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 859 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 891 ნაღმსატყორცნი, 3.660 ტყვიამფრქვევი, 19.140 შაშხანა და ავტომატი, 2.730 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 5.500 ცხენი, 40 ორთქლმავალი, 1.150 რკინიგზის ვაგონი, 69 საწყობი საომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად. გარდა ამისა, ფრონტის ჯარებმა მოწინააღმდეგის განადგურებულ გამაგრებულ რაიონში ხელთ იგდეს 305 ხანგრძლივი რკინაბეტონის წერტი და ამ წერტებში 116 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი და 381 ტყვიამფრქვევი.

ტყვედ წამოყვანილია 49.600 გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არიან რუმინელთა 1-ლი ქვეითი დივიზიის მეთაური — დივიზიის გენერალი **საიდაკი** და რუმინელთა მე-14 ქვეითი დივიზიის მეთაური ბრიგადის გენერალი **ბოიკო.**

* * *

უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა 20-დან 25 აგვისტომდე წარმოებული შეტევის მსვლელობაში შემდეგი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ:

მოსპობილია: 101 თვითმფრინავი, 311 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 871 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 165 ნაღმსატყორცნი, 3.700 ტყვიამფრქვევი, 3 ათასი საზიდარი ტვირთიანად. მოწინააღმდეგემ 60 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა მარტო მოკლულთა სახით.

ამავე ხნის განმავლობაში **უკრაინის** მე-3 ფრონტის ჯარებმა **ხელთ იგდეს** შემდეგი დავლა: 195 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 1.061 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხი, 794 ნაღმსატყორცნი, 5.048 ტყვიამფრქვევი, 30.331 შაშხანა და ავტომატი, 3 ათასი ავტომანქანა, 59 ორთქლმავალი, 3.300 ვაგონი, 7.320 საზიდარი სამხედრო ტვირთიანად, 4.450 ცხენი, 352 საწყობი საომარ მასალიანად, იარაღიანად, საჭურვლიანად და სურსათიანად.

ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 55.800 ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა თავისი შტაბით და პოლკების მეთაურებიანად რუმინელთა 110-ე ქვეითი დივიზიის მეთაური — დივიზიის გენერალი **ტენესკუ ტროიანი.**

უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტების ჯარების შეტევითი ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგის ზარალი საბრძოლო ტექნიკის მთავარი სახეობისა და ცოცხალი ძალის მხრივ შეადგენს: ტყვეთა და მოკლულთა სახით 205.400 კაცს, 200 თვითმფრინავს, 664 ტანკსა და თვითმავალ ქვემეხს, 3.333 სხვადასხვა ყალიბის ქვემეხს, 2.330 ნაღმსატყორცნს, 13.596 ტყვიამფრქვევს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

„გმირი დედის“ ორდენის აღწერილობა



„გმირი დედის“ ორდენის ნიშანი წარმოადგენს ამოზნექილ ოქროს ხუთქიმიან ვარსკვლავს ისეთი ხუთქიმიანი ვარსკვლავის სახით განბნეული ვერცხლოვანი სხივების ფონზე, რომლის ბოლოები განლაგებულია ოქროს ვარსკვლავის ბოლოებს შუა. ორდენის ზომა ვერცხლის ვარსკვლავის პირპირდაპირ ბოლოებს შუა 28 მილიმეტრია.

ორდენის ნიშანი ყუნწითა და ოგოლით მიმაგრებულია წითელი მინანქრით დაფარულ ფიგურულ ლითონის ფირფიტაზე. ფირფიტაზე არის ამოზნექილი წარწერა „გმირი დედა“. ფირფიტის კიდეები და წარწერა მოოქრულია. ფირფიტის უკანა მხარეზე აქვს ქინძისთავი ტანსაცმელზე ორდენის მისამაგრებლად.

„სახელოვანი დედის“ ორდენის აღწერილობა

1. „სახელოვანი დედის“ I ხარისხის ორდენის ნიშანი მზადდება ვერცხლისაგან და წარმოადგენს ამოზნექილ ოვალს. ორდენის ზემო ნაწილში არ გაშლილი დროშა, რომელიც დაფარულია ლალ-წითელი მინანქრით, აქვს წარწერა „სახელოვანი დედა“ და ციფრი, რომელიც აღნიშნავს ორდენის ხარისხს. დროშის ქვემოთ არის ფარი, რომელზეც გადაკრულია თ[illegible]ი მინანქარი, და წარწერა „სსრკ“. ფარის ზემო ნაწილში არის წითელი მინანქრის ვარსკვლავი. ფარის ქვემო ნაწილზე დაკრულია მოსევადებული ნამგალი და ურო. ორდენის მარცხენა ნაწილში გამოსახულია მოსევადებული ფიგურა დედისა, რომელსაც ხელში ბავშვი უჭირავს. ფიგურა ქვემოთ დაფარულია ვარდებით. ორდენის ქვემო ნაწილი შემოვლებულია მოოქრული ფოთლებით. ორდენის წარწერები მოოქრულია. ორდენის ზომა: სიმაღლე 35 მილიმეტრი და განი 29 მილიმეტრი.

ორდენი ყუნწითა და რგოლით უერთდება ბანტად შეკრულ ლითონის კალაპოტს, რომელიც დაფარულია თეთრი მინანქრით. ბანტს შუაზე აქვს ერთი განიერი ცისფერი ზოლი. კალაპოტს უკანა მხარეზე აქვს ქინძისთავი ტანსაცმელზე ორდენის მისაბაგრებლად.

2. „სახელოვანი დედის“ II ხარისხის ორდენის ნიშანი მზადდება ვერცხლისაგან. პირველი ხარისხის ორდენისაგან განსხვავებით დროშა დაფარულია მუქი ცისფერი მინანქრით; ფოთლები, რომლებიც შემოვლებული აქვს ორდენის ქვემო ნაწილს, მოოქრული არ არის.

ორდენის ბანტის მინანქარი თეთრი ფერისაა. ბანტს შემოვლებული აქვს ორი ვიწრო ცისფერი ზოლი.

3. „სახელოვანი დედის“ III ხარისხის ორდენის ნიშანი მზადდება ვერცხლისაგან. პირველი ხარისხისაგან განსხვავებით დროშა, ფარი და ვარსკვლავი ფარზე უმინანქროა; ფოთლები, რომლებიც შემოვლებული აქვს ორდენის ქვემო ნაწილს, მოოქრული არ არის.

მინანქარი ორდენის ბანტზე თეთრი ფერისაა. ბანტს შუაში აქვს ერთი და კიდეებზე ორი ცისფერი ვიწრო ზოლი.

მედალ „დედობის მედლის“ აღწერილობა

წინა მხარე

უკანა მხარე

1. I ხარისხის მედალი **„დედობის მედალი“** ვერცხლისაა, აქვს 29 მილიმეტრ დიამეტრიანი სწორი წრის ფორმ

პარტიული ცხოვრება

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის დირექციის საანგარიშო მოხსენება ქარხნის მიერ ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის გეგმის შესრულების მიმდინარეობაზე. მოხსენების გამო ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელიც აშაკრავებს ორთქლმავლებისა და ვაგონების გამოშვების გეგმის შესრულების დარგში ქარხნის სრულიად არადამაკმაყოფილებელი მუშაობის მიზეზებს და სახავს გზებს ამ ჩამორჩენის უსწრაფესი გამოსწორებისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამ დადგენილებასთან დაკავშირებით 23 აგვისტოს თბილისის პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში შესდგა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იმხანოვი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ჩუბინიძე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინი, საქართველოს კ. პ. (ბ) ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ა. ხუჯაძე და ქარხნის ხელმძღვანელი ამხანაგები.

თათბირზე, 7 თვის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ქარხნის უფროსმა, წევის დარგის მესამე რანგის გენერალ-დირექტორმა ამხ. დ. ჭიშაძემ, რომელმაც კრებას ანაცნო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და აღნიშნა, რომ მისი შესრულება წარმოადგენს ქარხნის მთელი კოლექტივის საბრძოლო ამოცანას.

— ქარხნის კოლექტივი — ამბობს მომხსენებელი — ყველფერს გააკეთებს, რათა უახლოეს ხანში თავი დააღწიოს ჩამორჩენას ორთქლმავლებისა და ვაგონების გამოშვების დარგში, შეასრულოს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

ამხ. ჭიჭინაძის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საამქროთა უფროსებმა, ქარხნის სამმართველოს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა, მოწინავე მუშებმა და სხვ. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს ყველა ის ნაკლოვანებანი, რაც ხელს უშლის ქარხანას გეგმების წარმატებით შესრულების საქმეში.

ქარხნის ძირითადი პროდუქციის—ორთქლმავლებისა და ვაგონების რემონტის დარგში ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი ხელმძღვანელობის მოუქნელობაში მდგომარეობს. შრომის დისციპლინა ხშირად ირღვევა, საამქროს ზოგიერთი ხელმძღვანელი ზრძოლას არ აწარმოებს ეკონომიისათვის, ადგილი აქვს ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევას, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ქარხანაში არა დგას საჭირო სიმაღლეზე. ყველა ამ საკითხებს შეეხენ თავიანთს სიტყვებში ქარხნის, მთავარი ინჟინერი ამხ. ხოჯაშვილი, ქარხნის უფროსის მოადგილე საკავშირო დარგში ამხ. ბატინიანი, საამქროს უფროსები ამხ. ბაქრაძე, თევზაძე, კოჩლავაშვილი, სტახანოველები ხაჯელია, მაისურაძე, ახმეტოვი და სხვ.

აქტივის კრება არ დაკმაყოფილა ამხ. თევზაძის (მექანიკური საამქროს უფროსი) დაამხ. კანუკოვის (საქვაბე საამქროს უფროსი) გამოსვლამ, რომლებიც შეეცადნენ ჩამორჩენის მიზეზები გადაეტანათ სხვებისათვის.

აქტივის კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. იმხანოვი.

ამხ. იმხანოვი დაწვრილებით შეეხერდა ქარხნის ჩამორჩენის მიზეზებზე, ცალკეულ საამქროთა მოუქნელ მუშაობაზე. ამხ. იმხანოვმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც საჭიროდ უნდა განეხორციელოთ იმისათვის, რომ გადაჭრით გაუმკლავდეს ორთქლმავლებისა და ვაგონების გამოშვების საქმე.

ქარხნის ხელმძღვანელობამ გადაამჭრელი ზომები უნდა მიიღოს საწარმოო კულტურის დანერგვისათვის, დისციპლინის განმტკიცებისა, ახალგაზრდა კადრების შენარჩუნებისა და მათი პოლიტიკური და საწარმოო აღზრდისათვის, წესრიგისა და სისუფთავის დაცვისათვის და სხვ.

ქარხნის სამეურნეო, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად აქტივის კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის V პლენუმი

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას სახელობის რაიკომის მეხუთე პლენუმმა, რომელიც 24 აგვისტოს შესდგა, განიხილა საკითხი რაიონში მასობრივი-თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ნ. გომელაურმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაიონის მშრომელებმა ომის დღეებში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საბჭოდრო საქმის შესწავლას, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1941 წლის 18 სექტემბრის ისტორიული დადგენილების შემდეგ რაიონში ასობით საბჭოთა პატრიოტი დაეუფლა ავტომატს, ნაღმსატყორცნს, ტყვიამფრქვევს, მტრის ტანკების განადგურების ხელოვნებას. საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ქვეგანაყოფების ასობით ყოფილი მებრძოლი ახლა გმირულად ებრძვის სამშვილო ომის ფრონტებზე და უღმობლად ელეტს ჰიტლერელ ავაზაკებს. მაგალითად, სერგანტმა გივი გულაშვილმა პირადად მოუსწრაფა სიცოცხლე 44 ფაშისტს; სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანმიუშოდ შესრულებისათვის თენგიზ უზნაძე და ოთარ ანაშიძე დაჯილდოებული არიან წითელი ვარსკვლავის ორდენით. წითელი ვარსკვლავის ორდენით არის დაჯილდოებული აგრეთვე ლეიტენანტი ამხ. ვ. ანტონიანი, რომელმაც ფრიადზე დაამთავრა საყოველთაო-სავალდებულო სამხედრო სწავლების პროგრამა და მონაწილეობ წავიდა ფრონტზე.

მომხსენებელმა მოიყვანა აგრეთვე რაიონის თავდაცვა-ავიაქიმის ნაყოფიერი მუშაობის მთელი რიგი მაგალითები.

— მიღწევებთან ერთად, — განაცხადა ამხ. გომელაურმა, — მასობრივი თავდაცვითი მუშაობის დაყენების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი არსებითს ნაკლოვანებებს. თავდაცვა-ავიაქიმის ყველა პირველად ორგანიზაციასთან როდია ჩამოყალიბებული სამხედრო ქვეგანაყოფები, ფიზკულტურის რაიონული კომიტეტი კონკრეტულ დახმარებას არ უწევს თავის ძირეულ ორგანიზაციებს, შეასუსტა მუშაობა ადგილობრივი საპარო-თავდაცვითი ობიექტების უმეტესობამ. ზოგიერთმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, მიწათმოქმედების და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატების, „თელასის", თბილისის წყალსადენის სამმართველოს და სხვ.) მიიტვიწყა წითელი ჯვრის ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. კერესელიძემ (თბილისის საბჭო), ე. აგლაძემ (პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლე), კ. ჩხეიძემ (ადგილობრივი საპარო თავდაცვის რაიონული შტაბი), რ. ლეშენიცმ (თავდაცვა-ავიაქიმის რაისაბჭო), გ. დუნდუამ (რაიონის სამხედრო კომისარი), ვ. ხელაშვილმა (კომკავშირის რაიკომი) და სხვ.

მეორე საკითხად პლენუმმა მოისმინა ანგარიში პარტიაში მიღების მდგომარეობის შესახებ 1944 წლის 26 მაისიდან 24 აგვისტომდე. (მომხსენებელი ამხ. გ. გუგუნავა). საანგარიშო პერიოდში რაიონის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა 219 კომუნისტით. პარტიის რიგებში მიღებული არიან გამოჩენილი მეცხოვრენი, ინჟინერები, მოწინავე სტახანოველები. მიღებულთა შორის არის: აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, მოქანდაკე ვ. თოფურიძე, ინჟინერი ო. ღამბაშიძე, პროფესორი დ. ღოღობერიძე, სტახანოველი ნ. აბაშიძე და მრავალი სხვა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაცია (საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატების, სსრკ სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, „ზარი ვოსტოკას" სტამბის, „მეგმომპარაგების" და სხვ.) ნაკლებად ზრუნავს მოწინავე ადამიანების პარტიის რიგებში მოზიდვისათვის.

ამხ. გუგუნავას მოხსენება ირგვლივ გაიმართა კამათში მონაწილეობა მიიღო 5 ამხანაგმა.

მომსმენილ საკითხებზე პლენუმმა მიიღო საბოლოო დადგენილებები.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. ნ. თოფურია გამოყვანილ იქნა რაიკომის ბიუროს შემადგენლობიდან. რაიკომის ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ვ. გუგუნავა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ჩერქეზიამ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის პლენუმი

შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების თბილისის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიწგანის გამგის ამხ. გ. თავზარაშვილის მოხსენება საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადების შესახებ. მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ვ. თოაბეგოვმა, ს. ყაზარომა, ვ. კარანაძემ, ა. ჩარკვიანმა, კ. ხუციშვილმა და სხვ.

მოხსენებიდან და კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვიდან გამოირკვა, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში წარმატებებთან ერთად ადგილი აქვს საგრძნობ ნაკლოვანებებსაც. მაგალითად, სოფელ მარტყოფის ლენინის სახელობის, კუმისის ბერიას სახელობის და სოფანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში ანეულის ხვნის დროს სტოვებენ ხარვეზებს, არ იცავენ ხვნის სიღრმეს, ხნული დაფარულია ბალახით და შიგ საქონელი დადის. სოფელ შინდისის მე-17 პარტყრილობის სახელობის, წავკისის ორჯონიკიძის სახელობის და კოჯრის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში ნელი ტემპით მიმდინარეობს პურის ლეწვა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1944 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ პლენუმმა მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. ი. თავიდაშვილის მოხსენება. კამათში გამოვიდნენ ამხ. გ. აბუაშვილი, შ. ისელიძე, ა. თოფჩიშვილი, ვ. გოგიშვილი და სხვ.

პლენუმზე აღინიშნა ნაკლოვანებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას საქმეში. თბილისის რაიონში მეცხოველეობის განვითარების გეგმა ძროხისა და ფურკამეჩის სულადობის მხრივ შესრულებულია მხოლოდ 89 პროცენტით, ხარისა და ხარკამეჩის—73,7 პროცენტით, ცხენის—95,9 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩებიან სოფელ ნორიოს სტალინის სახელობის, გლდანის ფრუნზეს სახელობის და ბაგების ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობები.

განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი საავალდებულო სახელმწიფო დამზადებათა გეგმების შესრულების შესახებ (მომხსენებელი ამხ. გ. ძეკვაშვილი). კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ი. შარიქაძემ, ლ. გაბისონიამ, გ. წიკლურმა და სხვ.

გამოირკვა, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საავალდებულო სახელმწიფო დამზადებათა გეგმები სოფელ ავჭალის სტალინის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის, წითელი უბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში.

სამივე საკითხზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. კობახიძე.

პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სამუშაოდან გაათავისუფლა რაიკომის მდივანი კადრების დარგში ამხ. ნ. ბაიდაური. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივნად კადრების დარგში არჩეულ იქნა ამხ. ა. კორაბაშვილი.

გ. ცანავა

პოლონეთის კონსტიტუციის საკითხისათვის

„პოლპრესის" სააგენტოს ცნობიდან, რაც ჩვენს პრესაში ა. წ. 9 აგვისტოს გამოქვეყნდა, საბჭოთა მკითხველმა შეიტყო, რომ საუბრებმა, რომლებსაც ამას წინათ ჰქონდა ადგილი პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენელთა და ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელთა შორის, ღრმა პრინციპული უთანხმოება გამოავლინა პოლონეთის კონსტიტუციის საკითხზე. ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ლონდონიდან ჩამოვიდნენ, „არ დათანხმდნენ ეცნოთ 1921 წლის დემოკრატიული კონსტიტუცია და უარეყოთ 1935 წლის ანტიდემოკრატიული კონსტიტუცია მთელი მისი შედეგებით". ამის გამო საუბრებმა ჯერჯერობით დადებითი შედეგები ვერ გამოიღო.

კონფლიქტი 1921 წლის კონსტიტუციისა და 1935 წლის კონსტიტუციის მომხრეთა შორის ახალი საკითხი როდია. ამ საკითხზე ჯერ კიდევ ომამდე სწარმოებდა პოლონეთში ხანგრძლივი და უაღრესად მწვავე პოლიტიკური ბრძოლა.

1921 წლის კონსტიტუცია არის კანონიერი გზით მიღებული პირველი და ერთადერთი კონსტიტუცია ომისშემდგომი პოლონეთის სახელმწიფოსი, რომელიც რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მეოხებით აღორძინდა. ამ კონსტიტუციაში დადგენილი იყო სამოქალაქო თავისუფლებანი (სიტყვის, პრესის, კოალიციების თავისუფლება), აგრეთვე სეიმისა და სენატის დემოკრატიული არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლებისა და ფარული კენჭისყრის საფუძველზე. რესპუბლიკის პრეზიდენტს ფინიჭებული აქვს კონსტიტუციურად ფეზიდუფული უფლებები და დაწესებულია მინისტრებისა და მათდამი დაქვემდებარებული მოხელეების პასუხისმგებლობა სეიმის წინაშე. ამრიგად, ეს კონსტიტუცია, მიუხედავად მასში არსებული ნაკლოვანებებისა, წარმოადგენდა დემოკრატიული პარლამენტარიზმის კონსტიტუციას, დაახლოებით ისეთივე ხასიათისას, როგორც მთელ რიგ სხვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად, მეზობელ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში.

მაგრამ პოლონეთის რეაქციონერებს სძულდათ ყოველგვარი დემოკრატია და არ სურდათ მასთან შერიგება. ვათ სურდათ თავიანთი ხელში ჩაეგდოთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლება და დაიწყეს ულმობელი ბრძოლა 1921 წლის კონსტიტუციის წინააღმდეგ, ჯერ მისი განხორციელების საბოტაჟის გზით, შემდეგ კი ცდილობდნენ მის სისტემატურად დარღვევას მთავრობის საგანგებო დეკრეტებით, და, ბოლოს, მოითხოვდნენ ზის სრულ გაუქმებას და ანტიდემოკრატიული კონსტიტუციით შეცვლას. პილსუდსკი და მისი ბანდები, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს 1926 წლის მაისში, გახდნენ დემოკრატიის მოსპობის ამ კურსის მთავარი გამტარებელნი. ცნობილია, რომ პილსუდსკი არა ერთხელ ანთხევდა ბღვერახსნილი ლანძღვა-გინების ნიაღვარს სეიმის მისამართით, ეწოდებდა მას „როსკეპების სეიმს", რომელიც ღირსია არა მარტო გარეკვისა, არამედ „ფეხით განუწყვეტლივ ქილვისაცო". დემოკრატიის აღმოფხვრის საქმეში განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენდა პილსუდსკელების „პოლკოვნიკთა ჯგუფი", რომელშიც შედიოდნენ შაგბნული საქმეების ისეთი ოსტატები, როგორც სლავეკი, პრისტორი, ბეკი, მატუშევსკი, კოცი და სხვ. იმისათვის, რომ გაეადვილებინა თავისთვის ქვეყნის კანონიერი კონსტიტუციის ლიკვიდაცია, პოლკოვნიკთა ჯგუფის მთავრობამ გაანადგურა სეიმის ცენტრისა და მარცხენა ფრთის პარტიების ოპოზიციური გაერთიანება, ბრესტის სასტრობილეში დამწყვდია პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) და გლეხთა პარტიის „სტრონიციტვო ლიუდოვეს" „მთელი რიგი ლიდერები. ამასთან ერთად მთავრობამ გარეკა ურჩი სეიმი და გაუგონარი ტერორის საშუალებით მიაღწია ახალ სეიმში უფრო დამორჩილებულ უმრავლესობის შექმნას. მაგრამ ამ სეიმშიც კი ახალი კონსტიტუციის პროექტმა, მიუხედავად მთავრობის მთელი ფანდებისა, კანონით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა ვერ მიიღო. მიუხედავად ამისა, 1935 წლის გაზაფხულზე ახალი კონსტიტუცია უკანონო გზით გამოცხადებულ იქნა მიღებულად.

ამ ანტიდემოკრატიული კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა სავსებით თავისუფალია პასუხისმგებლობისაგან ხალხის წინაშე და პარლამენტის წინაშე. სახელმწიფო ძალაუფლება. მთლიანად მოქცეულია რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელში. მე-2 მუხლში პრეზიდენტის შესახებ სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:

„მას ეკისრება სახელმწიფოს ბედისათვის პასუხისმგებლობა ღვთისა და ისტორიის წინაშე.

მისი სახით წარმოდგენილია ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო ძალა-უფლება".

პრეზიდენტს ემორჩილებიან სეიმიც და მთავრობაც. მე-3 მუხლი პირდაპირ აწესებს, რომ „სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც რესპუბლიკის პრეზიდენტის ხელმძღვანელობაში იმყოფებიან, წარმოადგენენ: მთავრობა, სეიმი, სენატი, შეიარაღებული ძალები, სასამართლო, სახელმწიფო კონტროლი". პრეზიდენტს უფლება აქვს გააუქმოს სეიმის ყოველი გადაწყვეტილება. სამოქალაქო თავისუფლებანი ხალხთა მასებისათვის ამ კონსტიტუციით ფაქტიურად ლიკვიდირებულია.

პრეზიდენტისა და სეიმის არჩევნებზე ხალხთა მასების რაიმე გავლენის მოსპობის მიზნით 1935 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებს არჩევნების რთულ პროცედურას. 80 ამრჩევის საგანგებო კრება თავდაპირველად არჩევს პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელიც ამის შემდეგ ხდება პრეზიდენტად 7 წლის ვადით, ოღონდ თუ ძველ პრეზიდენტს არ სურს სხვა კანდიდატის წამოყენება; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხდება ამ ორი კანდიდატიდან ერთ-ერთის არჩევნები. ახალი საარჩევნო კანონის თანახმად, სეიმის დეპუტატობის კანდიდატების წამოყენების უფლება ენიჭებოდათ მხოლოდ საოლქო საარჩევნო კომისიებს, რომლებშიც მმართველი ხროვისათვის უზრუნველყოფილია უმრავლესობა.

ასეთია 1935 წლის ანტისახალხო კონსტიტუცია. თუ 1921 წლის კონსტიტუციამ თავის დროზე გამოიწვია პოლონელ გლეხთა ერთგვარი იმედები მიწის მიღებისა (99-ე მუხლის საფუძველზე), 1935 წლის კონსტიტუციის დამტკიცების შემდეგ ყველასთვის ცხადი გახდა, რომ კრესის მაგნატების უდიდესი ლატიფუნდიებიც კი ახლა ძველ ფეოდალურ მფლობელებს განუმტკიცეს. უწინარეს ყოვლისა, სწორედ იმისათვის იყო შექმნილი ეს კონსტიტუცია, რომ გლეხს ვერ გაებედნა მიწის მოთხოვნა. ჭუშა—თავისი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნა, რომ ვერავის ვერ ბაებედნა დემოკრატიულ თავისუფლებათა მოთხოვნა.

ამ შაგბნელ კონსტიტუციას ეგლაუჭება ახლა პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობა". ნუთუ დაავიწყდათ ამ ემიგრანტული კამარილიის წევრებს, რომ მათი საკუთარი პარტიების წარმომადგენლებიც კი თავის დროზე სეიმში პროტესტს აცხადებდნენ ესოდენ რეაქციული კონსტიტუციის მიღების წინააღმდეგ? ასე, მაგალითად, სეიმის საკონსტიტუციო კომისიის 1935 წლის 28 თებერვლის სხდომაზე კონსტიტუციის იმ პროექტის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობამ წამოაყენა, გაილაშქრეს დეპუტატებმა მაცეი რატომ ვლეხთა პარტიის („სტრონიციტვო ლიუდოვეს") სახელით და კაზიმირ ჩაპინსკიმ პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) სახელით,—რომლებიც შემდეგში ორივენი დაიღუპნენ გერმანელი ოკუპანტების ხელით. ჩაპინსკიმ მაშინ განაცხადა:

„ახალი კონსტიტუცია რეაქციულ მონაჩმახს წარმოადგენს. იგი აშორებს ხალხს ნამდვილ გავლენას სახელმწიფოს ვართვაზე. იგი შეიცავს ზოგიერთ ფაშისტურ ელემენტს და საზიანოა ხალხისათვის, სახელმწიფოსათვის. ჩვენ გადაკრეთ ვილაშქრებთ ამ პროექტის წინააღმდეგ".

დეპუტატმა ვინიარსკიმ ენდეკების („ნაროდოვი დემოკრატი") სახელით სეიმის 1935 წლის 23 მარტის სხდომაზე განაცხადა:

„ჩვენ ვილაშქრებთ ამ პროექტის წინააღმდეგ, ვინაიდან ის, რითაც თქვენ გვიმასპინძლდებით, არის თვითმპყრობელობა, პოლიციური სახელმწიფოს სამოსელში გახვეული".

ახლა ემიგრანტული „მთავრობის" წევრები ამჯობინებენ დუმილს იმ ფაქტზე, რომ მაშინ მათი საკუთარი პარტიებიც კი იბრძოდნენ ამ შავბნელი კონსტიტუციის წინააღმდეგ. ისინი სდუმან იგრეთვე იმაზე, რომ პოლონელმა ხალხმა აშკარად უარყო 1935 წლის კონსტიტუცია. ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა იმავე წელს, ჯერ-ერთი, პოლიტიკური გაფიცვების მძლავრი ტალღით, რაც ივნისში მთელ პოლონეთს მოედო, და, მეორეც, ახალი სეიმის, 1935 წლის 8 სექტემბრის შემდგარი არჩევნების მასობრივი ბოიკოტით. ამ ბოიკოტში, როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ ყველანი პარტია („სტრონიციტვო ლიუდოვე"), პოლონეთის სოციალისტური პარტია (პპს), ენდეკები, კომუნისტები და სხვ. ამომრჩეველთა ორ მესამედზე მეტმა მონაწილეობა არ მიიღო კენჭისყრაში. ვარშავაში ნამდვილი ბიულეტენები მისცა ამომრჩეველთა მხოლოდ 23 პროცენტმა, ლოძში კი—მხოლოდ 13 პროცენტმა. ეს იყო თავისებური ინა პლებისციტი 1935 წლის კონსტიტუციის წინააღმდეგ. შემდეგ წელს პოლონეთის ხალხთა მასების ბრძოლა ანტიდემოკრატიული კონსტიტუციის წინააღმდეგ უფრო გაძლიერდა. მან უაღრესად საგრძნობი ფორმები და მასშტაბები მიიღო როგორც დიდ ქალაქებში, ისე გლეხთა რაიონებშიც. პოლონელი ხალხი წლიდან-წლამდე არაორაზროვნად ამჟღავნებდა, რომ იგი არ შერიგებულა 1935 წლის კონსტიტუციას.

მაშ რატომ უყლეან ყოველივე ამას გვერდს დუმილით პოლონეთის ემიგრანტული „მთავრობის წევრები? იმიტომ ხომ არა, რომ მათ სურთ მიჩქმალონ უაღრესად რეაქციული არსი იმ პოზიციისა, რომელსაც დაადგა მათი ემიგრანტული ხროვა, პოლონეთის მთავრობის როლზე რომ აცხადებს პრეტენზიას? როდესაც მიკოლაიჩიკი, კვაპინსკი, გრაბსკი და სხვები ჯერ კიდევ დაკავშირებული იყვნენ პოლონეთის მოსახლეობასთან და როდესაც მთავრობის ძალაუფლება კიდევ არ იყო მათ ხელში, მაშინ ისინი ჰგმობდნენ 1935 წლის კონსტიტუციას. მაშინ ისინი—ან მათი პარტიების სხვა წარმომადგენლები — სწორად ახასიათებდნენ ამ კონსტიტუციას, როგორც პოლონეთის რეაქციის ხელკეტს ხალხის უკმაყოფილების ჩასახშობად. მაგრამ როდესაც ისინი, ემიგრაციაში ყოფნისას, მოსწყდნენ თავიანთ ხალხს და როდესაც პოლონეთის რეაქციამ შესთავაზა მათ რაჩკევიჩისა და სოსნკოვსკის შეთაურობით მონაწილეობა მიეღოთ მთავრობაში, რომელიც 1935 წლის კონსტიტუციის საშუალებით ფეოდალური ზუბრი—მემამულეების საუკუნეობრივ პრივილეგიათა დასაცავად შეიქმნა,—მაშინ მათ უარი როდი სთქვეს იმაზე, რომ ხელში აეღოთ ეს კეტი... ახლა ისინი უკვე აღარ ჰგმობენ 1935 წლის ანტიდემოკრატიულ კონსტიტუციას, დაეინებით ებღაუჭებიან მას!

საკვირველი არ არის, რომ ემიგრანტულ მთავრობას, რომელიც ებღაუჭება 1935 წლის კონსტიტუციას, არავითარი დასაყრდენი არა აქვს პოლონელ ხალხში. და თუ ამ გაკოტრებული „მთავრობის" რომელიმე წევრს კიდევ სურს მონახოს გზა თავისი ხალხისაკენ, რათა პატიოსნად ემსახუროს ხალხს, ბოლოს-დაბოლოს დროა შეიგნოს, რომ ეს სრულიად შეუძლებელია პილსუდსკელების ფაშისტური კონსტიტუციის საფუძველზე, რომელსაც არასოდეს არ სჯერდება პოლონელი ხალხი.

1921 წლის კონსტიტუციაში, რომლის საფუძველზეც მოქმედებს პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, დადგენილია პრეზიდენტის ფიცის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია:

...„პირობას გაძლევ შენ, პოლონელო ხალხო, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის მიხედვით, რომელსაც მე ვეღებულობ, წმიდად შეეინახავ და დაიცავ რესპუბლიკის კანონებს, ხოლო უწინარეს ყოვლისა კონსტიტუციას".

ამ სიტყვებში თავისი გამოხატულება ჰპოვა ხალხისადმი და სახელმწიფოებრივი სამსახურისადმი დემოკრატიულმა დამოკიდებულებამ, რაც აუცილებელია არა მარტო პრეზიდენტისათვის, არამედ სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისთვისაც. სწორედ დემოკრატიული წყობილება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, რომელიც ჰქმნის პირობებს ხალხის მონაწილეობისათვის თავისი სახელმწიფოს საქმეებში, უზრუნველჰყოფს პოლონეთის სახელმწიფოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმის გამარჯვებას.

მეორე მხრივ, პოლონეთის მწარე გამოცდილებამ უკვე ცხადჰყო, სათ მიდის საქმე, თუ ქვეყნის მმართველნი ხელმძღვანელობენ იმ პრინციპით, რომ ისინი სახელმწიფოს ბედისათვის პასუხისმგებელნი არიან მხოლოდ „ღვთისა და ისტორიის წინაშე". პასუხს აგებდე „ესოდენ შორეული ინსტანციების წინაშე—ეს იმას ნიშნავს, რომ არავის წინაშე არ აგებდე პასუხს. ასეთმა უპასუხისმგებლო მოქმედებამ, რაც ემყარებოდა 1935 წლის ფაშისტურ კონსტიტუციას, უკვე ჰიიყვანა პოლონეთის სახელმწიფო კატასტროფამდე, ხოლო პოლონელი ხალხი—უმძიმეს ტანჯვამდე. ბუნებრივია, რომ პოლონელი ხალხის ყველა დემოკრატიული ძალები, კრაევაია რადა ნაროდოვასა და პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარშემო გაერთიანებულნი, გამსჭვალული არიან გადაწყვეტილებით—არ დაუშვან პოლონეთში რეაქციის ბატონობის დაბრუნება.

(„პრავდა", 20 აგვისტო).

დეპეშები

ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების ცნობა

ლონდონი, 25 აგვისტო (საკადესი). ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია:

„იტალიაში ინგლისელთა და ინდოელთა ნაწილები, რომლებიც მე-8 არმიაში შედიან, აპენინის მთებსა და ფლორენციას შუა კვლავ სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, რომელიც სუსტდება. აპენინის მთების კალთების აღმოსავლეთით იტალიის ჯარებმა ფართო ფრონტით მიაღწიეს მდინარე კანდელიანოს და შეეიჭრნენ ქალაქ აკვალანიაში. მდინარე არნოს ზემოწელის ხეობაში მოკავშირეთა ჯარებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. პონტასიეეს აღმოსავლეთით მე-8 არმიის ნაწილებმა მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ „გუთური ხაზისაკენ" და მტკიცედ დამკვიდრდნენ სეკიეტის მთის დასავლეთ კალთაზე. ფლორენციის დასავლეთით მე-5 არმიის უბანზე პატრულების მოქმედება გრძელდებოდა მდინარე არნოს ორივე ნაპირზე.

მე-7 არმიის ამერიკელთა ნაწილებმა, რომელნიც შეტევას ავითარებდნენ სამხრეთ საფრანგეთის პლაცდარმის აღმოსავლეთ სექტორში, დაიკავეს კანი და გრასი. საფრანგეთის ჯარები კვლავ იუმჯობესებდნენ პოზიციებს ტულონში. მარსელში მოწინააღმდეგისაგან სწმენდენ ნავსადგურის მომიჯნავე რაიონს.

აქამდე წამოყვანილია 20 ათასი ტყვე.

მძიმე ბომბდამშენთა დიდი შენაერთები ავიაგამანადგურებელთა თანხლებით თავს დაესხნენ ორს ნავთსაწყენდ ქარხანას და ერთ აეროდრომს ჩეხოსლოვაკიაში, აგრეთვე მოწინააღმდეგის კომუნიკაციებს უნგრეთში, იუგოსლავიასა და მდინარე პოს ხეობაში.

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საბჭოს ცნობა

ლონდონი, 25 აგვისტო (საკადესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი საბჭოს ცნობაში ნათქვამია:

„საფრანგეთის მეორე ჯავშანსატანკო დივიზიის ნაწილებმა დასძლიეს მტრის ძლიერი წინააღმდეგობა და გენერალ ლეკლერკის სარდლობით შევიდნენ პარიზის გარეუბნებში. პარიზის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს სენა მელენის, ახლის და ფონტენბლოს რაიონში. შემდეგ მდინარის დინების აყოლებით დაკავებულია. მონტეარო. მოკავშირეთა ჯარები ამავამად სენის შესართავს უახლოვდებიან. დაკავებულია ტიბერვილი. მოკავშირეთა ნაწილებმა ჭიაღწიეს ბეზვილის სამხრეთით მდებარე მაგისტრალს,